architect.tbilisi.gov.ge ვებ-გვერდზე, ჩვენთვის (შპს „მოი-კა“ #405051777) ცნობილი გახდა, რომ 2020 წლის 25 ივლისს, შპს ქროსი 2-ის წარმომადგენელმა თეა თაბაგარმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს მიმართა განცხადებით (განაცხადის ნომერი: AR1755612), სადაც მოითხოვა ქ.თბილისი, ნავთლუღის ქ. N8ა-ში (ს/კ N01.17.12.023.036) ნაკვეთზე, რომელზედაც განთავსებულია შპს „მოი-კა“-ს სარგებლობაში არსებული ავტოსამრეცხაო, სწრაფი კვების რესტორანის მშენებლობა; ასევე, ამავე ვებ-გვერდის საშუალებით ცნობილი გახდა, რომ 2020 წლის 19 აგვისტოს შპს ქროსი 2-ის წარმომადგენელმა თეა თაბაგარმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს დამატებით მიმართა განცხადებით (განაცხადის ნომერი: AR1768124), სადაც მოითხოვა ქ.თბილისი, ნავთლუღის ქ. N8ა-ში (ს/კ N01.17.12.023.036) განთავსებულ ზემოაღნიშნულ ავტოსამრეცხაოსა და გარე პარკინგის დემონტაჟის შესახებ. ამ განცხადებაზე (AR1768124) განმცხადებელს უარი ეთქვა და უარის თქმის დასაბუთებაში მოყვანილია სულ სხვა მიზეზი, კერძოდ აღარ არის საუბარი ამ ობიექტის კანონიერ მოსარგებლეების შესახებ ან მათი თანხმობების წარმოდგენაზე.

გაცნობებთ, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე (ს/კ N01.17.12.023.036), სადაც განთავსებულია ჩვენს (შპს „მოი-კა“ #405051777) კანონიერ სარგებლობაში არსებული ავტოსამრეცხაო, რომელზედაც შპს ქროსი 2-ის წარმომადგენელი თეა თაბაგარი ითხოვს ახალი მშენებლობის ნებართვას და აღნიშნული ავტოსამრეცხაოს დემონტაჟს, თეა თაბაგარს ყოველივე ჩვენთან არ შეუთანხმებია, რის გამოც გთხოვთ ჩვენი სათანადო ნებართვის გარეშე არ დააკმაყოფილოდ და არ მისცეთ თვითნებური დემონტაჟის და ახალი მშენებლობის უფლება.

ჩვენი (შპს „მოი-კა“ #405051777) აღნიშნული შეტყობინება-მოთხოვნა ემყარება შემდეგ გარემოებებს:

2018 წლის 30 მაისს, შპს **ქროსი 2-ის** მოიჯარე - მოქალაქე **ივერი ფავლენიშვილსა** (პ/ნ: 24001011914) და შპს „მოი-კა“-ს გენერალური დირექტორის მამუკა მერაბიშვილის შორის დაიდო იჯარის ხელშეკრულება. იჯარის ხელშეკრულების მოქმედების და იჯარის საგნით სარგებლობის ვადა განისაზღვრა 3 წლით.

მხარეებს შორის დადებული იჯარის საგანი გახლდათ კომერციული ფართი (ზემოაღნიშნული ავტოსამრეცხაო), მდებარე: ქ.თბილისი, ნავთლუღის ქ. N8ა, „ისანი-მოლი“-ს მიმდებარე ტერიტორია, ს/კ N01.17.12.023.036.

შპს „მოი-კა“ სა და მოქალაქე ივერი ფავლენიშვილს შორის იჯარის ხელშეკრულების დადების საფუძველი გახლდათ ის, რომ ივერი ფავლენიშვილსა და **შპს ქროსი 2- ს** შორის დადებული იყო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მოქალაქე ივერი ფავლენიშვილს უფლება ეძლეოდა ქ.თბილისი, ნავთლუღის ქ. N8ა, „ისანი-მოლი“-ს მიმდებარე ტერიტორიაზე (ს/კ N01.17.12.023.036), განთავსებულ ავტოსამრეცხაოს სარგებლობა 3 წლის ვადით, კერძოდ 2021 წლის 08 მაისამდე.

მოქალაქე ივერი ფავლენიშვილსა და შპს „მოი-კა“-ს შორის დადებული ხელშეკრულება არ არის დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში, თუმცა წარმოდგიდგენთ დასკანირებული სახით.

აღნიშნულიდან გამომდინარე შპს „მოი-კა“-მ გადვწყვიტეთ არსებული ავტოსამრეცხაოს გადაკეთება თვითმომსახურეობის ტიპის ავტოსამრეცხაოდ და შპს ქროსი 2-ის მესაკუთრე ჟაკ მარი ფლურის თანხმობით და მისი სახელით შეტენილი იქნა განაცხადი, შესაბამისს პროექტთან ერთად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, არსებული ავტოსამრეცხაოს თვითმომსახურეობის ტიპის ავტოსამრეცხაოდ გადაკეთებისათვის, რაც არქიტექტურის სამსახურმა დააკმაყოფილა (**გადაწყვეტილება № 3900275**).

აღნიშნულ ავტოსამრეცხაოზე, იმავე წელს ჩვენს მიერ (შპს „მოი-კა“) და ჩვენივე სახსრებით განხორციელდა სამშენებლო სამუშაოები, ასევე ჩვენს მიერ ნაყიდი იქნა ამერიკის შეერთებულ შტატებში თვითმომსახურეობის ტიპის ავტოსამრეცხაოს დანადგარები (პრაქტიკულად აშენდა ახალი თანამედროვე ავტოსამრეცხაო) და ზემოაღნიშნული ავტოსამრეცხაოს კანონიერი მოსარგებლე 2018 წლის 30 მაისიდან გავხდით ჩვენ (**შპს „მოი-კა“ #405051777**). (იხ. დანართი ავტოსამრეცხაოს ფოტოსურათები მანამდე და ჩვენს მიერ თვითმომსახურეობის ავტოსამრეცხაოს გადაკეთების შემდგომ).

ზემოაღნიშნული ავტოსამრეცხაოს კანონიერი მოსარგებლე 2018 წლის 30 მაისიდან, რომ ვართ ჩვენ (შპს „მოი-კა“ #405051777), დამატებით დანართის სახით წარმოგიდგენთ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაცემულ ოქმს, ფაქტების კონსტატაციის შესახებ და საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ 01.06.2018 წელს გაცემულ სერტიფიკატს #1538, რომელიც გამოკრული გვაქვს თვითონ ავტოსამრეცხაოს თვალსაჩინო ადგილას, რის ფოტოსურათებსაც ასევე წარმოგიდგენთ და რომლითაც დასტურდება, რომ ქ.თბილისი, ნავთლუღის ქ. N8ა-ში (ს/კ N01.17.12.023.036) ნაკვეთზე მოსარგებლე ვართ ჩვენ (**შპს „მოი-კა“ #405051777**). ასევე წარმოგიდგენთ ყოველთვიური გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციას, სადაც ასახულია, ჩვენს მიერ ამ ტერიტორიის იჯარით ფლობის გადასახადის გადახდა და მასზე განთავსებულ ქონების გადასახადის გადახდა.

2020 წლის 19 აგვისტოს თეა თაბაგარის მიერ შემოტანილ განაცხადზე, სამრეცხაოს დემონტაჟის ნებართვაზე (AR1768124), არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 3 სექტემბერის გადაწყვეტილებით ეთქვათ უარი. ამასთანავე, არქიტექტურის სამსახურის #5072969 გადაწყვეტილების მე-3 პუნქტით, სამსახურმა მოსთხოვა მოსარგებლეების თანხმობა, (გადაწყვეტილება #5072969) რაც, დაინტერესებულმა პირმა ვერ წარმოადგინა, ვინაიდან მას ჩვენთვის (შპს „მოი-კა“) არც მოუმართავს და შესაბამისად არ გაგვიცია თანხმობა ვინაიდან ჩვენი კომპანია, ჩვენი კანონიერი ინტერესების გათვალისწინების გარეშე ეწინააღმდეგება სადემონტაჟო სამუშაოებს და ახალ მშენებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, შპს ქროსი 2-ის წარმომადგენელი თეა თაბაგარი კვლავ აგრძელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში ჩვენთან შეუთანხმებლად განაცხადების შეტანას, კერძოდ 2020 წლის 9 სექტემბერს მან კვლავ მიმართა აღნიშნული ავტოსამრეცხაოს დემონტაჟზე, რაც არქიტექტურის სამსახურმა დატოვა განუხილველი (გადაწყვეტილება № AR1393518MS და გადაწყვეტილება № AR1393637MS), თუმცა სულ სხვა ხარვეზების აღმოუფხვრელობის გამო და კვლავ არ არის საუბარი მოსარგებლეების შესახებ ან მათი თანხმობების წარმოდგენაზე.

ამდენად, შპს ქროსი 2-ის წარმომადგენელის თეა თაბაგარის ქმედებებით ილახება ჩვენი კანონიერი უფლებები, ხელი გვეშლება ჩვენს კანონიერი საქმიანობის განხორციელებაში, რის გამოც გთხოვთ ჩვენი სათანადო თანხმობის გარეშე არ დააკმაყოფილოდ და არ მისცეთ თვითნებური ავტოსამრეცხაოს დემონტაჟისა და ახალი მშენებლობის განხორციელების უფლება.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ჩვენს მიერ განცხადებაში მოყვანილ გარემოებებთან დაკავშირებით, დანართის სახით წარმოგიდგენთ შესაბამის დოკუმენტაციას.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B19026035, 07/03/2019 17:28:44

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს მოი-კა
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	405051777
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	15/07/2014
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, დოლიძის ქ., № 10, ბ. 31

დამატებითი ინფორმაცია:

სხვა მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, წერეთლის, 55ა, I კორ, ბ. 13
ელ. ფოსტა:	m.merabishvilimka@gmail.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - მამუკა მერაბიშვილი, 12001015468

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
ალექსანდრე შომინ, 65N1747942 /რუსეთის ფედერაცია/	100%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

88336984080120

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N200587630

რეგისტრაციის თარიღი

24.08.2020 წ

ნოტარიუსი: ნუნუ კაკოჩაშვილი
მისამართი: ქ.თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი #67- ის მიმდებარედ.
ტელეფონი: 2 30 69 98; 591 70 99 72

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

ორი ათას ოცი წლის ოცდაოთხ აგვისტოს, მე, ნოტარიუსს **ნუნუ კაკოჩაშვილს,** რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი №67-ის მიმდებარედ მომმართა **შპს** "მოი-კა"-ს (რეგისტრირებული: 15/07/2014წელს, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში,დოლიძის ქ., No 10, ბ. 31, საიდენტიფიკაციო კოდი: 405051777) დირექტორმა **მამუკა მერაბიშვილმა.** მან მოითხოვა რწმუნებულების შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი რომ ნამდვილად **მამუკა მერაბიშვილმა** (დაბ.: 07.04.1967წელს, რეგ. მისამართი: **გარდაბანი ს. ახალწყალი მე–8 ქ. N 2,** პირადი №12001015468) მომმართა. მე შევამოწმე მისი უფლებამოსილება. იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს შპს თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B19026035, ამონაწერის მომზადების თარიღი: , 07/03/2019 17:28:44. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვფასტურებ რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე შევადგინე წინამდებარე რწმუნებულება და წავუკითხე მას. მე მას განვუმარტე რწმუნებულების შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ რწმუნებულება ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას, რის შემდეგაც სანოტარო წესით დავადასტურე წინამდებარე.

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

შპს "მოი-კა"-ს (რეგისტრირებული: 15/07/2014წელს, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში,დოლიძის ქ., No 10, ბ. 31, საიდენტიფიკაციო კოდი: 405051777) დირექტორმა **მამუკა მერაბიშვილმა** (დაბ.: 07.04.1967წელს, რეგ. მისამართი: **გარდაბანი ს. ახალწყალი მე–8 ქ. N 2,** პირადი №12001015468), რომლიც შემდეგში მოხსენიებული როგორც "**მარწმუნებელი**", ამ რწმუნებულებით ლაშა ქუსიკაშვილს (დაბადებული: 12.10.1968წელს, პირადი №01011037336), რომელიც შემდეგში მოხსენიებულია „რწმუნებული" წესდებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება: რწმუნებული უფლებამოსილია წარმოადგინოს და დაიცვას მარწმუნებლის ინტერესები ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებთან, შესაძე პირებთან ურთიერთობაში. ასევე სამოქალაქო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. შემოსავლების სამსახურში, ფინანსთა სამინისტროში, ეკონომიკის სამინისტროში. აღსრულების ეროვნულ ბიუროში, სხვა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში, საპატრულო პოლიციაში, პროკურატურაში, სანოტარო ბიუროში, ლევან სამხარაულის სახელობის სახელმწიფო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, მერიაში, საკრებულოში. გამგეობაში. სახელმწიფო არქივში და სხვა შესაბამის ორგანიზაცია დაწესებულებაში.. რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს ყველა ის მოქმედება და პროცედურა, რაც აუცილებელი იქნება მარწმუნებლის ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესების და უფლებების დასაცავად; საჭიროების შემთხვევაში აწარმოოს შესაბამისი საქმე (სამოქალაქო, ადმინისტრაციული) საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, მათ შორის საქალაქო, სააპელაციო, საკასაციო, საარბიტრაჟო და საკონსტიტუციო სასამართლოში. რწმუნებულს აქვს ყველა ის უფლებამოსილება, რომელიც მხარეს მინიჭებული აქვს საქართველოს სამოქალაქო, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით. კერძოდ, რწმუნებული უფლებამოსილია: ა) მარწმუნებლის სახელით შეიტანოს სარჩელი ან/და განცხადება სასამართლოში. გაეცნოს საქმის მასალებს. გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან. გადაიღოს ასლები. განაცხადოს აცილება. წარადგინოს მტკიცებულებანი. მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში. შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს. განაცხადოს სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი. წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას

მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, ნაწილობრივ ან მთლიანად სცნოს სარჩელი, დაამთავროს საქმე მორიგებით; ბ) გაასაჩივროს სასამართლოს ყველა აქტი (გადაწყვეტილება, განჩინება); შეიტანოს სჩივარი (კერძო საჩივარი) სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, აწარმოოს საქმე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში; გ) შეცვალოს სარჩელის საფუძველი და/ან საგანი, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა; დ) ისარგებლოს მხარისათვის სამოქალაქო (ადმინისტრაციული) საპროცესო კოდექსით მინიჭებული ყველა სხვა უფლებით, მათ შორის იმ უფლებით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტით, იმ უფლებით, რაც კანონით მინიჭებული აქვს მოსარჩელეს, მოპასუხეს, მესამე პირს და დაზარალებულს, მათ შორის უფლებით საქმე მორიგებით დაამთავროს, ცნოს ან უარყოს მთლიანად ან ნაწილობრივ სასარჩელო მოთხოვნები, გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილება, მიიღოს **სააღსრულებო დოკუმენტები (ფურცელი). მონაწილეობა მიიღოს სააღსრულებო წარმოებაში, წარადგინოს აღსასრულებლად სააღსრულებო ფურცელი, შეაჩეროს, გამოითხოვოს სააღსრულებო ფურცელი; იყოს წარმომადგენელი სახელმწიფო ხაზინაში, ნოტარიუსთან, გადაიხადოს ბაჟი. მიიღოს სასამართლოს მიერ დაბრუნებული სახელმწიფო ბაჟი (თანხა აიღოს ხელზე).**

მინდობილობა გაცემულია „მარწმუნებლის“ უძრავ/მოძრავი ქონების მართვა/განკარგვის გარეშე.

რწმუნებულება გაცემულია განუსაზღვრელი ვადით, შემდგომში გადანდობის უფლების ქარეშე.

რწმუნებულება შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ორი გადაეცემა მარწმუნებელს, ხოლო ერთი შეინახება ნოტარიუსის სანოტარო ბიუროს არქივში.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური: ათი (10) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების №507 (2011 წლის 29 დეკემბერი) სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ: ერთი (1) ლარი და ოთხმოცი (80) თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, ორი (2) ლარი (დღგ-ს ჩათვლით, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილება №507-ის 39-ე მუხლისა, ჯამში: ცამეტი (13) ლარი და ოთხმოცი (80) თეთრი.

მარწმუნებელი _____

ნოტარიუსი: _____ /ნუნუ კაკოჩაშვილი/

იჯარის ხელშეკრულება

ქ. თბილისი 05. 2018 წ.

ერთის მხრივ, ივერი ფავლენიშვილი (პ/ნ 24001011914), შემდეგში წოდებული "მეიჯარე" მიერ და მეორეს მხრივ შპს „მოი-კა" (ს/ნ 405051777), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის მერაბიშვილი მამუკას მიერ, შემდგომში წოდებული, როგორც „მოიჯარე", ერთად წოდებულნი როგორც მხარეები, დადეს წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მეიჯარემ იჯარით გადასცა, ხოლო მოიჯარემ იჯარით აიღო ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება (შემდგომში „იჯარის საგანი").

1.2 იჯარის საგანია 58კვ.მ კომერციული ფართი (ავტო სამრეცხაო), მდებარე: ქ. თბილისი, ნავთლუღის ქ. N8ა, „ისანი მოლი"-ს შენობა, ავტოსამრეცხაოს ტერიტორია, საკადასტრო კოდი N01.17.12.023.036 (იჯარის საგნის ზუსტი ადგილმდებარეობა აღნიშნულია ამ ხელშეკრულების დანართში N1).

1.3 იჯარის საგნის იჯარით გადაცემა ხდება ავტო სამრეცხაოს კეთილმოწყობის და ექსპლუატაციის მიზნით.

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 იჯარის ხელშეკრულების მოქმედების და იჯარის საგნით სარგებლობის ვადა განისაზღვრება 3 წლით.

2.2 იჯარის საგნის გადაცემა დასტურდება იჯარის საგნის გადაცემის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით.

2.3 იმ შემთხვევაში, თუ იჯარის საგნით სარგებლობის ვადის გასვლამდე 30 (ოცდაათი) დღით ადრე არც ერთი მხარე მეორე მხარის წინაშე წერილობით არ გამოთქვამს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთობის შეწყვეტის სურვილს, მაშინ ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება იმავე ვადით. ავტომატური გაგრძელების პირობა იმოქმედებს ხელშეკრულების ვადის გასვლის ყოველ ჯერზე.

2.4 მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს შეწყვიტონ ხელშეკრულება ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით.

2.5 იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის ან ვადის გასვლის შემთხვევაში, მეიჯარის მოთხოვნის საფუძველზე, მოიჯარე ვალდებულია 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში აღადგინოს იჯარის საგანი იმ მდგომარეობაში, რაც მას ჰქონდა მოიჯარის მიერ მისი იჯარით აღებამდე და დაუბრუნოს იგი მეიჯარეს.

2.6 ამ ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების შესაბამისად.

2.7 ხელშეკრულების მოქმედება შეიძლება იყოს შეწყვეტილი თუ ხელშეკრულების ვადის ამოწურვისას და მხარეთა სურვილის შესაბამისად არ გააგრძელონ ხელშეკრულება.

2.8 ხელშეკრულება არ იქნება შეწყვეტილი ცალმხრივად არასასამართლო წესით.

2.9 ხელშეკრულება შეიძლება იყოს შეწყვეტილი სასამართლო წესით შემდეგ შემთხვევებში:

2.10 საიჯარო გადასახადის დავალიანების არსებობის დროს 3-თვეზე მეტი პერიოდით.

2.11 პრეტენზიები წარედგინება წერილობითი ფორმით, ხელმოწერით ორივე მხარის მიერ.

2.12 პრეტენზიები განიხილება მათი მიღებიდან 14 დღის განმავლობაში.

2.13 რომელმაც მიიღო საჩივარი უნდა აცნობოს განმცხადებელს საჩივრის განხილვის შედეგებზე მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.

2.14 პასუხი იქნება ხელმოწერილი ან მოიჯარის ან მეიჯარის მიერ, შესაბამისად.

3. ქირის ოდენობა და გადახდის წესი

3.1 ყოველთვიური ქირა შეადგენს 500 ლარს გადასახადების ჩათვლით.

3.2 ქირის გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად, ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის არა უგვიანეს 5 (ხუთი) რიცხვისა, მეიჯარის მიერ მოიჯარისათვის ინვოისის/ანგარიშფაქტურის წარდგენიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში, როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორებით.

4. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები

4.1 მეიჯარე ვალდებულია:

4.2 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით გადასცეს მოიჯარეს იჯარის საგანი;

4.3 წარუდგინოს მოიჯარეს ტექნიკური პირობები: ელექტროენერგია და წყლით მომარაგება, ასევე კანალიზაციის გაყვანილობა და აღნიშნულით სარგებლობა.

4.4 არ ჩაერიოს მოიჯარის საქმიანობაში და ხელი შეუწყოს მოიჯარეს იჯარის საგნის შეუფერხებელ და შეუზღუდავ გამოყენებაში, მხოლოდ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნით.

4.5 იმ შემთხვევაში, თუ მეიჯარე არ არის იჯარის საგნის მესაკუთრე, ან იჯარის საგანი წარმოადგენს რამდენიმე სუბიექტის თანასაკუთრებას, შემდგომში მოსალოდნელი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით მოიჯარეს წარუდგინოს იჯარის საგნის გადაცემაზე არსებულ მესაკუთრეთა წერილობითი თანხმობა, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების დანართ N2-ს.

4.6 მეიჯარეს უფლება აქვს: მოსთხოვოს მოიჯარეს იჯარის საგნის მუდმივად სუფთა და გამართულ მდგომარეობაში ქონა;

4.7 მოიჯარე ვალდებულია:

4.8 იჯარის საგანი შეინახოს ნორმალურ და გამოსაყენებლად ვარგის მდგომარეობაში. ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს ფართის ნორმალური ცვეთა და დაუძლეველი ძალით ზიანის მიყენება;

4.9 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით, დროულად გადაიხადოს ქირა;

4.10 არ გადასცეს იჯარის საგანი შემდგომი იჯარით მესამე პირებს, მეიჯარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;

4.11 იჯარის საგანში ჩასატარებელი ნებისმიერი სარემონტო სამუშაო ან/და საგნის დიზაინი შეათანხმოს მეიჯარესთან;

4.12 მოიჯარეს უფლება აქვს:

4.13 იჯარის საგანზე დაკიდოს და გამოაკრას სარეკლამო ინფორმაციის შემცველი აბრები მხოლოდ მეიჯარესთან წერილობითი შეთანხმებით;

4.14 გადასცეს იჯარის საგანი შემდგომი იჯარით მესამე პირებზე მეიჯარის წერილობითი თანხმობით.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 ამ ხელშეკრულებით დადგენილი ქირის გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, მეიჯარე უფლებამოსილია მოიჯარეს მოსთხოვოს გადასახდელ თანხასთან ერთად, პირგასამტეხლოს გადახდა გადასახდელი თანხის 0,2 პროცენტის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს გადახდის მოთხოვნა სავალდებულო შესასრულებელი გახდება მეიჯარის მიერ მოიჯარისათვის შესაბამისი წერილობითი მოთხოვნის წარდგენის მომენტიდან, თუმცა პირგასამტეხლო დაითვლება ვადაგადაცილების პირველი დღიდან.

5.2 მოიჯარე პასუხისმგებელია მის მიერ მეიჯარისათვის იჯარის საგნის დაზიანებით გამოწვეული ზარალის სრულ ანაზღაურებაზე.

5.3 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო, ფორს მაჟორის შემთხვევაში, რომლის წინააღმდეგ წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელია.

5.4 ფორს-მაჟორის მოვლენებს მიეკუთვნება - ომები, სამოქალაქო არეულობები, ბლოკადები, ემბარგოები.

6. სხვა პირობები

6.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან (ხელშეკრულების პირველ გვერდზე მითითებული თარიღიდან) და მოქმედებს მისით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების სრულ ამოწურვამდე.

6.2 ამ ხელშეკრულების ყველა დამატება და ცვლილება ძალაშია, თუ იგი შესრულებულია წერილობით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ.

6.3 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობა ვრცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლეებზე, თუკი მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

6.4 ეს ხელშეკრულება წესრიგდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

6.5 მხარეთა შორის ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილ დავებს განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო.

6.6 ხელშეკრულებას თან ახლავს დანართები N1 და N2, რომლებიც წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს.

6.7 ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობა გავლენას არ მოახდენს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების იურიდიულ ძალაზე.

6.8 მოიჯარეს აქვს უფლება ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ სხვა მოიჯარეებთან თანაბარი პირობებით დადოს იჯარის ხელშეკრულება მხარეთა შეთანხმებული პირობებით მოიჯარის მიერ წარდგენილ წერილობით განაცხადის საფუძველზე არაუგვიანეს ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე სამი თვით ადრე.

6.9 მიწის ნაკვეთის გამოყენების შედეგად მოიჯარის მიერ მიღებული შემოსავლები მოიჯარის საკუთრებაა.

6.10 მოიჯარეს აქვს უფლება შეწყვიტოს ხელშეკრულება (ან უარი თქვას საიჯარო გადასახადების შეტანაზე) თუ მიწის ნაკვეთზე იქნება ტექნიკური გაუმართაობა (შუქი, წყალი,), რის შედეგადაც შეუძლებელია კომერციული საქმიანობის ჩატარება.

6.11 მოიჯარე ვალდებულია ათ დღიან ვადაში წერილობით აცნობოს მეიჯარეს თავისი დასახელების, მისამართის და რეკვიზიტების შეცვლის შესახებ.

6.12 ხელშეკრულების ვადის გასვლის, უთანხმოების, სასამართლო დავის არსებობის ან ნებისმიერი ფორმით შეწყვეტის შემთხვევაში იჯარის საგანი უბრუნდება მეიჯარეს 4.8 პუნქტის გათვალისწინებით, ხოლო მოიჯარის მიერ იჯარის საგანზე მოწყობილი ან/და განლაგებული ტექნიკა/დანადგარები და ა.შ., რომელიც წარმოადგენს მოიჯარის საკუთრებას, რჩება მოიჯარესთან და აღნიშნული საკითხი არ წარმოადგენს დავის საგანს.

6.13 ეს ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, თითო ორივე მხარისათვის.

ინფორმაცია მხარეთა შესახებ

"მეიჯარე"

ივერი ფავლენიშვილი

პ/ნ: **24001011914**

ტელ:. 577-32-23-32

"მოიჯარე"

შპს „მოი-კა"

ს.კ.: **405051777**

იურიდიული მისამართი:

საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი,

დოლიძის ქ. 10, ბ.31

ტელ:. 599-53-28-89

დირექტორი მამუკა მერაბიშვილი

ი ჯ ა რ ი ს ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი 08 მაისი 2018წ.

ერთის მხრივ, შპს "ქროსი 2" (შემდგომში "მეიჯარე") წარმოდგენილი მისი მინდობილი პირის ანნა ლორანის (პ/ნ: 01006000227) მიერ და
მეორეს მხრივ, ივერი ფავლენიშვილი (შემდგომში "მოიჯარე") პ/ნ: 24001011914, მიერ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მეიჯარემ იჯარით გადასცა, ხოლო მოიჯარემ იჯარით აიღო ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება (შემდგომში „იჯარის საგანი").
1.2 იჯარის საგანია 58 (ორმოცდათვრამეტი) კვ.მ კომერციული ფართი, მდებარე: ქ. თბილისი, ნაცთლულის ქ. №8ა, „ისანი მოლი"-ს შენობა, ავტოსადგომის ტერიტორია, საკადასტრო კოდი №01.17.12.023.036.
1.3 იჯარის საგნის იჯარით გადაცემა ხდება ავტოსამრეცხაოს მოწყობის მიზნით.

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 იჯარის ხელშეკრულების მოქმედების და იჯარის საგნით სარგებლობის ვადა განისაზღვრება 3 (სამი) წლით.
2.2 იჯარის საგნის გადაცემა დასტურდება იჯარის საგნის გადაცემის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით.
2.3 იმ შემთხვევაში, თუ იჯარის საგნით სარგებლობის ვადის გასვლამდე 30 (ოცდაათი) დღით ადრე არც ერთი მხარე მეორე მხარის წინაშე წერილობით არ გამოთქვამს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთობის შეწყვეტის სურვილს, მაშინ ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება იმავე ვადით. ავტომატური გაგრძელების პირობა იმოქმედებს ხელშეკრულების ვადის გასვლის ყოველ ჯერზე.
2.4 მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს შეწყვიტონ ხელშეკრულება ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით.
2.5 მხარეებს შეუძლიათ ცალმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის მეშვეობით.
2.6 ხელშეკრულების 2.5. პუნქტში მითითებული შეტყობინების ვადის დარღვევის შემთხვევაში, დაზარალებული მხარე უფლებამოსილია დამრღვევ მხარეს მოსთხოვოს პირგასამტეხლო - 1 (ერთი) თვის საიჯარო ქირა და ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა გადასახადები.
2.7 იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის ან ვადის გასვლის შემთხვევაში, მოიჯარე ვალდებულია 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში აღადგინოს იჯარის საგანი იმ მდგომარეობაში, რაც მას ჰქონდა მოიჯარის მიერ მისი იჯარით აღებამდე და დაუბრუნოს იგი მეიჯარეს.

3. ქირის ოდენობა და გადახდის წესი

3.1 ყოველთვიური ქირა შეადგენს 150 (ასორმოცდაათი) ლარს დღგ-ს გარეშე.
3.2 ქირის გადახდა უნდა განხორციელდეს ეროვნულ ვალუტაში ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი, საანგარიშო თვის ბოლო კალენდარულ დღეს მოქმედი კურსით,

ყოველთვიურად, ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის არა უგვიანეს 5 (ხუთი) რიცხვისა, მეიჯარის მიერ მოიჯარისათვის ინვოისის/ანგარიშფაქტურის წარდგენიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში, მეიჯარის ქვემოთ მითითებულ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით: სს "თიბისი ბანკი", ანგარიშის №.GE03TB7442536020100002

4. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები

4.1 <u>მეიჯარე ვალდებულია:</u>

4.1.1 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით გადასცეს მოიჯარეს იჯარის საგანი;
4.1.2 არ ჩაერიოს მოიჯარის საქმიანობაში და ხელი შეუწყოს მოიჯარეს იჯარის საგნის შეუფერხებელ და შეუზღუდავ გამოყენებაში, მხოლოდ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნით.

4.2 <u>მეიჯარეს უფლება აქვს:</u>

4.2.1. მოსთხოვოს მოიჯარეს იჯარის საგნის მუდმივად სუფთა და გამართულ მდგომარეობაში ქონა;
4.2.2. ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება კანონით დადგენილ შემთხვევებში ან/და თუ მოიჯარე უხეშად არღვევს ამ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

4.3 <u>მოიჯარე ვალდებულია:</u>

4.3.1 დაარეგისტრიროს იჯარის ხელშეკრულება საჯარო რეესტრში და გასწიოს შესაბამისი ხარჯები;
4.3.2 იჯარის საგანი შეინახოს ნორმალურ და გამოსაყენებლად ვარგის მდგომარეობაში. ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს ფართის ნორმალური ცვეთა და დაუძლეველი ძალით ზიანის მიყენება;
4.3.3 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით, დროულად გადაიხადოს ქირა;
4.3.4 არ გადასცეს იჯარის საგანი შემდგომი იჯარით მესამე პირებს, მეიჯარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;
4.3.5 იჯარის საგანში ჩასატარებელი ნებისმიერი სარემონტო სამუშაო ან/და საგნის დიზაინი შეათანხმოს მეიჯარესთან;

4.4 <u>მოიჯარეს უფლება აქვს:</u>

4.4.1 იჯარის საგანზე დაკიდოს და გამოაკრას სარეკლამო ინფორმაციის შემცველი აბრები მხოლოდ მეიჯარესთან წერილობითი შეთანხმებით;
4.4.2 გადასცეს იჯარის საგანი შემდგომი იჯარით მესამე პირებზე მეიჯარის წერილობითი თანხმობით.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 ამ ხელშეკრულებით დადგენილი ქირის გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, მეიჯარე უფლებამოსილია მოიჯარეს მოსთხოვოს გადასახდელ თანხასთან ერთად, პირგასამტეხლოს გადახდა გადასახდელი თანხის 0,2 პროცენტის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს გადახდის მოთხოვნა სავალდებულო

შესასრულებელი გახდება მეიჯარის მიერ მოიჯარისათვის შესაბამისი წერილობითი მოთხოვნის წარდგენის მომენტიდან, თუმცა პირგასამტეხლო დაითვლება ვადაგადაცილების პირველი დღიდან.

5.2 მოიჯარე პასუხისმგებელია მის მიერ მეიჯარისათვის იჯარის საგნის დაზიანებით გამოწვეული ზარალის სრულ ანაზღაურებაზე.

6. სხვა პირობები

6.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან (ხელშეკრულების პირველ გვერდზე მითითებული თარიღიდან) და მოქმედებს მისით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების სრულ ამოწურვამდე.

6.2 ამ ხელშეკრულების ყველა დამატება და ცვლილება ძალაშია, თუ იგი შესრულებულია წერილობით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ.

6.3 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობა ვრცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლეებზე, თუკი მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

6.4 ეს ხელშეკრულება წესრიგდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

6.5 მხარეთა შორის ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილ დავებს განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო.

6.6 ხელშეკრულებას თან ახლავს დანართი №1, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

6.7 ამ ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობა გავლენას არ მოახდენს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების იურიდიულ ძალაზე.

6.8 ეს ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, თითო ორივე მხარისათვის.

ინფორმაცია მხარეთა შესახებ

"მეიჯარე"	"მოიჯარე"
შპს "ქროსი 2"	ივერი ფავლენიშვილი
ს/კ: 205 129 653	პ/ნ: 24001011914
იურ. მის.: ქ. თბილისი, მირზა შაფის №48	მის: მუხიანი, 4მკრ, კორპ. 41, ბინა 37
ფაქტ. მის.: ქ. თბილისი, ნავთლუღის ქ. №8ა	

მინდობილი პირი
ანნა ლორან

თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება № 3900275

გაცემის თარიღი: 04/04/2018 — გაცნობის თარიღი: 04/04/2018

განცხადების ნომერი: AR1587018
შემოსვლის თარიღი: 20/03/2018
შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.17.12.023.036
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ნავთლუღის ქუჩა N8ა
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 13000.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "ქროსი 2" (404447498)

ნომენკლატურა :

- **I კლასი**
- **აბრებისა და რეკლამების განთავსება**
